პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

Personal Data Protection Service

PDPS 0 23 00002039

27/03/2023

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

მისამართი [redacted]

ელ.ფოსტის მისამართი: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2023 წლის 16 მარტის №PDPS 5 23 00001800 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება თქვენს ხელთ არსებული მატერიალური მასალის ციფრული ვერსიით ჩანაცვლებას და ამ მიზნით ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვას, გაცნობებთ შემდეგს:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრებულია 2022 წლის 24 თებერვლის: №გ-1/036/2022 გადაწყვეტილება, №გ 1/041/2022 გადაწყვეტილება, №გ 1/042/2022 გადაწყვეტილება და №გ 1/043/2022 გადაწყვეტილება, ასევე, 2022 წლის 19 მაისის №გ-1/018/2022 გადაწყვეტილება და 2023 წლის 27 იანვრის №გ-1/011/2023 გადაწყვეტილება (სულ ექვსი გადაწყვეტილება). შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები სასამართლოში გასაჩივრების გამო არ არის კანონიერ ძალაში შესული. რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოში წარდგენილი არგუმენტაციების/საჩივრის დასაბუთების თქვენთვის მოწოდებას, გაცნობებთ, რომ სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ზემოაღნიშნული სასამართლო წარმოებების მხარეებს წარმოადგენენ მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ხოლო სასამართლო პროცესში სხვა პირთა ჩართულობის საკითხი (მათ შორის სასამართლო მასალების გაცნობის საკითხი) მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და მისი გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაა.

- საქმის დასაშვებობის, დახარვეზების, განუხილველად დატოვების თუ სხვა დანარჩენი გარემოებების შესახებ მატერიალური ფორმით სამსახურის მიერ გამოგზავნილი კორესპონდენციის ელექტრონული ასლების მოწოდებასთან მიმართებით გაცნობებთ,

ნ. ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელფოსტა: office@pdps.ge

7, N. Vachnadze Str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdps.ge

რომ თქვენ განცხადებებთან დაკავშირებული სამსახურის თითოეული კორესპონდენცია გამოგეგზავნათ და ჩაგბარდათ კანონმდებლობით დადგენილი წესით. დოკუმენტის ჩაბარების საკითხი მოწესრიგებულია სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის" 38-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, რომლის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებული დოკუმენტები მხარეს, დაინტერესებულ პირსა და მესამე პირს ბარდებათ ფოსტით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით, სხვა ტექნიკური საშუალებით. სამსახურის თანამშრომელი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტების ჩაბარების რომელი ფორმა გამოიყენოს და რომელ მისამართზე გააგზავნოს იგი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენციის (რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის №2010 - IIს დადგენილებით) მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონვენციით აღიარებულია პირის უფლება მიღოს მონაცემები არა აუცილებლად მისთვის ყველაზე სასურველი, არამედ ნებისმიერი ობიექტურად გასაგები, აღქმადი, ხელმისაწვდომი ფორმით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს არ ავალდებულებს განმცხადებლისთვის სასურველი ფორმით უზრუნველყოს მის მომართვებზე საპასუხო კორესპონდენციის ანდა განმცხადებლის მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მისთვის ჩაბარება. ზემოაღნიშნულის, თქვენი მომართვების სიმრავლის და შესაბამისად მათ საპასუხოდ მომზადებული კორესპონდენციების რაოდენობის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ მოახდენთ იმ კონკრეტული კორესპონდენციის იდენტიფიცირებას, რომლის მიღების ინტერესი გაქვთ (მაგალითად, დაკარგეთ ან დაზიანდა თქვენთვის ჩაბარებული მატერიალური დოკუმენტი), სამსახური გამოხატავს მზადყოფნას, მოგაწოდოთ შესაბამისი კორესპონდენცია, მათ შორის, ელექტრონული ასლის სახით.

პატივისცემით,

ქეთევან კრაწაშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საჯარო სექტორზე ზედამხედველობის
დეპარტამენტი